

სესიოფილით დაავადებულ ბავშვთა და მოზრდილთა მკურნალობის სახელმწიფო პროგრამა

მუხლი 1 . პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია ჰემოფილით დაავადებულ ბავშვთა და მოზრდილთა ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება ფინანსური ხელმისაწვდომობის გაზრდის გზით.

მუხლი 2. პროგრამის ამოცანა

პროგრამის ამოცანაა ჰემოფილით დაავადებულთა ამბულატორიული და სტაციონარული მომსახურებით უზრუნველყოფა

მუხლი 3. პროგრამის მოსარგებლები

1. პროგრამის მოსარგებლები არიან საქართველოს მოქალაქეები და საქართველოში მუდმივად მცხოვრები პირები.

2. პროგრამის მოსარგებლეთა იდენტიფიკაცია ხორციელდება „მოსახლეობის სპეციფიკური მედიკამენტებით უზრუნველყოფის სახელმწიფო პროგრამის“ „ჰემოფილით დაავადებულ ბავშვთა და მოზრდილთა მედიკამენტებით უზრუნველყოფის კომპონენტის“ ფარგლებში გაცემული პოლისების მიხედვით (“მოსახლეობის სპეციფიკური მედიკამენტებით უზრუნველყოფის სახელმწიფო პროგრამა” დანართი 9), რომელიც წარმოადგენს პროგრამით გათვალისწინებული მომსახურების მიწოდების ინსტრუმენტს.

3. მოსარგებლე ამ პროგრამით გათვალისწინებულ მომსახურებას იღებს სახელმწიფო დახმარების სახით.

მუხლი 4. მომსახურების მოცულობა

1. ამბულატორიული მომსახურებით უზრუნველყოფილია:

- ა) ექიმი/ჰემატოლოგის კონსულტაცია;
- ბ) ტრანსფუზია სისხლდენებისა და სისხლჩაქცევების დროს (სისხლის კომპონენტების, ჰემოსტატიკების და ფაქტორების);
- გ) გამოკვლევები: სისხლის საერთო ანალიზი, გადამოწმება ინფექციური დაავადებების;
- დ) მარკერებზე სწრაფ ტესტებზე და ჩ ჰეპატიტი;
- ე) ფაქტორებით უზრუნველყოფა გართულებულ შემთხვევებში და ჰოსპიტალიზაციების დროს;
- ვ) მე-8, მე-9 და ვილბრანდის ფაქტორების გამოკვლევა;
- ზ) თრომბოციტების ფუნქციური გამოკვლევა.

2. სტაციონარული მომსახურებით უზრუნველყოფილია:

ეზის შემთხვევებში ჰოსპიტალური მომსა-

ბ) ჰემოფილიური ართროპათიით გამოწვეული ორთოპედიული მომსახურება.

3. სპეციფიკური მედიკამენტების მიწოდება:

პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულება უზრუნველყოფს „მოსახლეობის სპეციფიკური მედიკამენტებით უზრუნველყოფის სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში შექმნილი ანტიჰემოფილური ფაქტორ კონცენტრატებისა და ანტინჰიპობიტორული პროთრომბინ კომპლექსის მიწოდებას.

4. მოსარგებლეთა რეგისტრის წარმოება

მუხლი 5. დაფინანსების მეთოდოლოგია და ანაზღაურების წესი

დაფინანსება ხორციელდება გლობალური ბიუჯეტით (გლობალური ბიუჯეტი - პროგრამის ბიუჯეტის ასიგნებებიდან ყოველთვიური ლიმიტირებული თანხა).

მუხლი 6. მომსახურების შესყიდვა და განხორციელების მექანიზმები

1. მომსახურების შესყიდვა ხორციელდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

2. პროგრამის განმახორციელებელი ორგანიზაცია პროგრამით გათვალისწინებული

ასიგნებების ფარგლებში უზრუნველყოფს:

ა) რეგისტრის წარმოებას;

ბ) ანგარიშგებას;

3. ხელშეკრულების პირობებს, ანგარიშსწორების ფორმებსა და წესს, სატენდერო პირობებს განსაზღვრავს ჯანმრთელობისა და სოცი-ალური პროგრამების სააგენტო საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან შეთანხმებით.

მუხლი 7. ბიუჯეტი

„ საქართველოს 2008 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად კომპონენტის ბიუჯეტი განისაზღვრა 100,0 ათასი ლარით.